**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს რიგგარეშე სხდომის**

**ო ქ მ ი N 58**

ქ. სამტრედია. 8 დეკემბერი 2022 წელი.

2022 წლის 8 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ნათია პაპავას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

***სხდომას ესწრებოდნენ:*** ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი**

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი’’-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-402157330) ფართების უზუფრუქტის ფორმით, 02 წლით უსასყიდლო სარგებლობაში, გადაცემის შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   **/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში კოლეჯის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 90790 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.56.148) თხოვების ფორმით, 02 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   **/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის**

**თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

3. ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ. №7-ში მდებარე 69.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.285), ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 192.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

4. ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქ. №77-ში მდებარე 3603.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი 850 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი 20 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი 48 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი 141 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.66.045, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 16 პროექტის მოწონების შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

6. ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

7. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/**

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის შემადგენლობისა და ლიდერის დამტკიცების შესახებ.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/**

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/**

10. **სხვადასხვა.**

კენჭისყრის შედეგად ( 8 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

***დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 29 ნოემბრის** N: 62-622233299 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი''-სთვის, (საიდენტიფიკაციო ნომერი-402157330) ფართების უზუფრუქტის ფორმით, 02 წლით უსასყიდლო სარგებლობაში, გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად **1.** მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს'' (საიდენტიფიკაციო ნომერი-402157330) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს:

**ა)** სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ გომში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.47.046) 82.01 კვ.მ. ფართი.

**ბ)** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გორმაღალში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.14.42.016) 46.85 კვ.მ ფართი.

**გ)** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ტოლებში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.48.015.01.500) 51.27 კვ.მ. ფართი.

**დ)** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037.01.500) 106.95 კვ.მ. ფართი.

**ე)** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწერის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ეწერში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.43.017.01.500) 43.14 კვ.მ. ფართი.

**ვ)** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ნაბაკევში ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.53.019) 70.07 კვ.მ ფართი.

**ზ)** სამტრედიის მუნიციპალიტეტის მელაურის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ მელაურში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.05.46.040.01.500) 24.11 კვ.მ. ფართი.

**თ)** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.020) 22.40 კვ.მ ფართი.

**ი)** სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.41.059) 44.84 კვ.მ. ფართი.

**კ)** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ოფეთის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ოფეთში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.42.114) 112.75 კვ.მ. ფართი.

**ლ)** სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.13.41.007) 11.5 კვ.მ. ფართი;

**მ)** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიშში მდებარე 2778.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობა, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 82.01 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.008).

- უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 02 (ორი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად ( 8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

***დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 29 ნოემბრის** N: 62-622233299 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში, კოლეჯის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 90790 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.56.148) თხოვების ფორმით, 02 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში, კოლეჯის საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას გადასცეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 90790 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.56.148) თხოვების ფორმით, 02 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა, თხოვების ფორმით, 02 (ორი) წლის

ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულება დადოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში, კოლეჯის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ნდობით აღჭურვილ პირთან, რევაზ ხარჩილავასთან.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად ( 8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

***დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 29 ნოემბრის** N: 62-622233299 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ. №7-ში მდებარე, 69.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.285), ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე, 192.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად **1.** ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ. №7-ში მდებარე 69.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.285) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

**-** პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

**-** საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 8280 (რვა ათას ორას ოთხმოცი) ლარი.

**-** ბიჯი განისაზღვროს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

**-** საგარანტიო თანხა განისაზღვროს 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

**-** ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

**2.** ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 192.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

**-** პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

**-** საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 7700 (შვიდი ათას შვიდასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

**3.** მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - გრეიდერი (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

**3.2.** მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 132500 (ას ოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარი.

- ბიჯი განისაზღვროს 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

- საგარანტიო თანხა განისაზღვროს 40000 (ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით.

- ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად ( 8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

***დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 28 ნოემბრის** N: 62-6222332100

წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქ. №77-ში მდებარე, 3603.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, (№1 განაშენიანების ფართი 850 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი 20 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი 48 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი 141 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.66.045, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ'', განკარგულების პროექტის განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 16 ნოემბრის №15/64432 მომართვისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2022 წლის 24 ოქტომბრის №01/2969 მიმართვის მიხედვით,

იგეგმება ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქ. №77-ში მდებარე 3603.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი 850 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი 20 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი 48 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი 141 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.66.045, შ.პ.ს. "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" კაპიტალში შეტანა.

აღნიშნული მომართვების მიხედვით, ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქ. №77-ში მდებარე 3603.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (№1 განაშენიანების ფართი 850 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი 20 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი 48 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი 141 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.66.045, უნდა გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხტა კომისიამ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის, 108–ე მუხლის, ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 16 ნოემბრის №15/64432 მომართვისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2022 წლის 24 ოქტომბრის №01/2969 მიმართვის შესაბამისად, განიხილა ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქ. №77-ში მდებარე 3603.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი 850 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი 20 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი 48 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი 141 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.66.045, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

- სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქ. №77-ში მდებარე 3603.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (№1 განაშენიანების ფართი 850 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი 20 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი 48 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი 141 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.66.045.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად ( 8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

***დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 5 დეკემბრის** N: 62-62223399 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 16 პროექტის მოწონების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა

შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 16 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

**დანართი №1**

| № | პროექტის დასახელება | პროექტის ღირებულება (ლარი) | | შენიშვნა (რეგიონული განვითარების ფონდიდან მოთხოვნილი თანხა) |
|---|---|---|---|---|
| | | სულ | მ.შ თანადაფინანსება | |
| | 1 | 2 | 3 | 7 |
| 1 | სოფ. ბუღნარაში ე.წ.ბაძგარას უბანში ა/ბეტონის საფარის მოწყობა | 343141 | 17158 | 325983 |
| 2 | სოფ. ბუღნარაში გურიელიძეების უბნის მიმართულებით ა/ბეტონის საფარის მოწყობა | 345780 | 10544 | 335236 |
| 3 | სოფ. ბუღნარაში ხუჭუების და მჟავიების უბანში ა/ბეტონის საფარის მოწყობა | 132992 | 6650 | 126342 |
| 4 | სოფ. დიდი ჯიხაიშში N31; N33 და N34 ქუჩებზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა | 509491 | 25475 | 484016 |
| 5 | სოფ. ოფეთში მდ. ხევისწყალასთან მდებარე საავტომობილო გზის გამაგრების სამუშაოები | 16703 | 0 | 0 |
| 6 | სოფ. პატარა ოფეთში დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია | 19380 | 0 | 0 |
| 7 | გრიბოედოვის ქუჩაზე (ყოფილი სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე) მოშანდაკებითი, შეზვინვითი სამუშაოების, წყალსაწრეტი არხის მოწყობა | 220161 | 11009 | 209152 |
| 8 | ეწერ-ბაშის შემოვლითი გზის მოასფალტება | 104399 | 5220 | 99179 |
| 9 | რიონის მარცხენა სანაპიროზე სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულებთან მისასვლელი გზების მოწყობა | 140863 | 7044 | 133819 |
| 10 | სალოკომოტივო დეპოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება | 128130 | 6407 | 121723 |
| 11 | სოფ. ღანირში ე.წ. მეგრელიშვილების და ნოე მანჯგალაძის უბანში ა/ბეტონის საფარის დაგება | 141430 | 7072 | 134358 |
| 12 | სოფ. ჭაგანში საავტომობილო გზის ცენტრალური მაგისტრალიდან ა/ბეტონის დაგება | 216634 | 10832 | 205802 |
| 13 | სოფ. პატარა ეწრის მთავარი გზის N1 ჩიხის მოასფალტება | 16623 | 0 | 0 |
| 14 | იპოდრომის ჭიშკართან მისასვლელი გზისა და შიდა ეზოს მოასფალტება | 53171 | 2659 | 50512 |
| 15 | თამარ მეფის ქუჩაზე არსებული თხევადი გაზით გასამართ სადგურთან დაზიანებული ტროტუარზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა | 14101 | 0 | 0 |
| 16 | ჭანტურიას ქუჩაზე N29;31;33;35 და ავტოსადგურის მიმდებარე მხარეს არხზე ცხაურების მოწყობის და არხის კაპიტალურად შეკეთება | 23260 | 0 | 0 |

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად ( 8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

***დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ

ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 6 დეკემბრის N**62-622234023 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'', განკარგულების პროექტის განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად შეტანილ იქნეს ცვლილება ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში.

- 2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები დანართი №1-ში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად ( 8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

***დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 29 ნოემბრის** N: 62-622233298 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში, მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა ამჟამად არის ვაკანტური. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე სტრუქტურული ერთეულის გამართული ფუნქციონირების, ტურიზმის, ახალგაზრდული და სპორტის მიმართულების გაძლიერების, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ პროექტებში ახალგაზრდების მეტი ჩართულობის, ასევე, ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით, მიზანშეწონილია, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხებში, მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი

სპეციალისტის თანამდებობა გარდაიქმნეს ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში, მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად ( 8 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

***დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, გადაწყვეტილების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის შემადგენლობისა და ლიდერის დამტკიცების შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" $30^2$ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საკრებულოს წევრებმა (22 წევრი) გამოხატეს საკრებულოს უმრავლესობაში გაწევრიანების ნება, რაც დაადასტურეს მიმართვაზე ხელმოწერით. საკითხი განიხილა საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-მ და იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. არჩეულია უმრავლესობის ლიდერი , გოჩა არველაძე. აღნიშნული საკითხი საჭიროებს ბიუროს თანხმობას. წარმოდგენილია განკარგულების პროექტი, რომლის შესაბამისად დამტკიცდეს **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის** პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით:

1. **ნუგზარ ჯამბურია**
2. **ვაჟა სტურუა**
3. **ნათია პაპავა**
4. **ვალერიანე ფოცხვერია**
5. **მანანა სირბილაძე**
6. **ტარიელ ცომაია**
7. **ირაკლი მელაშვილი**
8. **გიორგი ლეჟავა**
9. **ტარიელ დვალიშვილი**
10. **ზაზა ადეიშვილი**
11. **დავით ჯანელიძე**
12. **გოჩა არველაძე**
13. **ილია მჟავია**
14. **ჯონი თევზაძე**
15. **ბექა თევზაძე**
16. **ლიზა კრავეიშვილი**
17. **ჯონი ახობაძე**
18. **მაია ტალაბაძე**
19. **ბადრი შენგელია**

**20. ლელა ჩორგოლაშვილი**
**21. გრიგოლ ჩიგოგიძე**
**22. გიორგი გაგუა**

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის ლიდერად არჩეულ იქნა, გოჩა არველაძე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად ( 8 ხმით), დამტკიცდა ბიუროს გადაწყვეტილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის შემადგენლობისა და ლიდერის დამტკიცების შესახებ’’.

***დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, გადაწყვეტილების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ’’

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი, რომლის შესაბამისად დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემდეგი შემადგენლობა:

1.1. ნუგზარ ჯამბურია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
1.2. ვაჟა სტურუა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
1.3. ნათია პაპავა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
1.4. ვალერიანე ფოცხვერია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
1.5. მანანა სირბილაძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
1.6. ტარიელ ცომაია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
1.7. ირაკლი მელაშვილი - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
1.8. გიორგი ლეჟავა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
1.9. მერაბ უღრელიძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
1.10. ტარიელ დვალიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება’’-ს თავმჯდომარე.

ემზარ შუბლაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა’’-ს თავმჯდომარე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად ( 8 ხმით), დამტკიცდა ბიუროს გადაწყვეტილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ’’.

**სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი**

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი’’-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-402157330) ფართების უზუფრუქტის ფორმით, 02 წლით უსასყიდლო სარგებლობაში, გადაცემის შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის

მიცემის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში კოლეჯის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 90790 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.56.148) თხოვების ფორმით, 02 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

3. ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ. №7-ში მდებარე 69.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.285), ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 192.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

4. ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქ. №77-ში მდებარე 3603.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი 850 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი 20 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი 48 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი 141 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.66.045, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 16 პროექტის მოწონების შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

6. ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/**

7. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ",

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/**

***8.*** **სხვადასხვა.**

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად ( 8 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2022 წლის 9 დეკემბერს 11$^{00}$ საათზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

**სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.**

ნათია პაპავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი